

256  
1922

F

საქართველოს  
საბჭოთაო  
კავშირები




491  
F67

# შეპარდენი. № 1. 1922 თიბათვე.

საქართველოს შეპარდენთა კავშირის ყოველთვიური მოკვება.

ვიღა ძალაქა — თიბათვე.

შეპარდენულ საქმის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წ-ნ. შეპარდენული საქმე დიდ უნარს და დიდ მუშაობას მოითხოვს შეპარდენულ საზოგადოების ყველა წევრისაგან. ვინაიდან აქ საკითხი რესპუბლიკანურ ზომსადარშია. შეპარდენული ვარჯიშობა, საშეპარდენო ტანვარჯიშობის თანწყობა უკვე საფეხებით შეიჭრა ხალხში, შეიჭრა ის სკოლაში და სულ ახლო მომავალში ის ჩვენს ნორჩ ჯარშიც მოიდგამს ფეხებს. ამისთვის წინასწარი მუშაობა უკვე სწარმოებს და ნაწილობრივ შეპარდენი უკვე ჩაერთა კიდეც ჯარში. ყოველივე ზემოაღნიშნული მოითხოვს რასაკვირველია შეპარდენის ყოველგნხრივ ამოძრავებას, მისი ყველა დარგების ამუშაებას. ამისთანავე აუცილებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი შეპარდენულ საზოგადოებებს შორის, საჭირო და აუცილებელია ჭრთიერთის ცხოვრების გაცნობა, ურთიერთ შორის ნამდვილ ძმურ შეპარდენულ კავშირის ჩამოგდება. ასეთი კავშირი კი შესაძლებელია მხოლოდ ეურნალის საშვალებით, ეურნალის წყალობით. საქართველოს შეპარდენთა კავშირის სტედა ერთხანს „საქართველოს შეპარდენთა კავშირის მოამბე“-ს გამოცემა შაპიროგრაფის საშვალებით და აცნობდა ყველა წევრებს უმთავრესად კავშირის ოქმებს. „მოამ-



ბე“-ს გამოსვლით ერთგვარი სიხალისე, გამოცოცხლება ჩამოვარდა შევარდნულ საზოგადოებებში და კავშირის მხრივ მოითხოვდა უფრო მეტს, ვიდრე იყო „მოამბე“. სწორედ ამ გარემოებამ კავშირის მისცა საბაბი, რათა დროგამოშვებითი ორგანოსთან ერთად, როგორც არის ახლად გამოსული დიდი სახის ჟურნალი „შევარდენი“, გამოსცეს პატარა სახის ყოველთვიური ჟურნალი „შევარდენი“, რომელიც იქნება საქართველოს შევარდენთა კავშირის მოამბე. მიზანი ჟურნალის ნათელია: რაც შეიძლება უფრო მკიდრო კავშირი ჩამოავდოს ყველა საზოგადოებებს შორის და მასთანვე დაახლოვოს ისენი შევარდენთა კავშირთან, გააცნოს ყველა წევრს როგორც კავშირის, ისე ყველა საზოგადოებების მუშაობა და ყველასთან ერთად შევარდნულ დიად აზრს, შევარდნულ ტანვარჯიშის თანწყობას ფართო ასპარეზი მისცეს რესპუბლიკის საზღვრებში და მთელი ხალხი ჩაითრიოს თავის მუშაობაში. მაშინ წინ საერთო საქმისაკენ, შევარდნულად.

გ უ შ ა გ ო ბ ე რ ს!

## ბ. ჩიკაბაძე

აღიზიანებული განვითარების აქტიულობა.

ძველ საბერძნეთში სილამაზის კულტი საზოგადოთ და კერძოთ კულტი ლამაზი ტანისა, როგორც ფუძე სულიერი სილამაზისა, იდგა არაზეულებრივ სიმადლებზე. მათი შეხედულებით ლამაზ ტანში ლამაზი სულიც უნდა ყოფილიყო. ამ ძველ საბერძნეთში ტანვარჯიშობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკავა საპატიო ადგილი.

საშუალო საუკუნოებში ასკეტიზმმა დაბადა აზრი ადამიანის სხეულზე, როგორც ცოდვის ქურჭელზე და რასაკვირველია იმ დროს ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო ტანვარჯიშობაზე.

XVIII საუკუნის დამლევს ე. ე. რუსოს იდეებმა ბუნებრივი აღზრდის შესახებ გაუღვიძა საზოგადოებას ინტერესი ტანვარჯიშობისადმი და აქედან იწყება აღორძინება.

ამ ეპოქად თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოებში ამ საქმეს სახელმწიფოებრივი ხასიათი მისცეს და რამდენად კულტურულად მალა დგას სახელმწიფო, იმდენად მასში განვითარებულია ტანვარჯიშობა და ნავარდი—სპორტი.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანო შემდეგ მაგალითს.

1912 წ. ქ. სტოკჰოლმში მომხდარ ოლიმპიურ შეჯიბრზე პირველი ადგილი დაიკვა ამერიკამ, შემდეგ შვეციამ, საფრანგეთმა და ბოლოს მოექცა ოსმალეთი.

თუ რამდენად აქცევენ ყურადღებას ტანვარჯიშობას და ნავარდს ამერიკაში, ეს იქიდან სჩანს რომ სახელმწიფო ხარჯავს ამ საქმისთვის, გარდა კერძო პირებისა და სხვა და სხვა საზოგადოებების, ±10,000,000 მანეთამდე (ძველი კურსით). იქ აუარებელ ფულს ხარჯავენ ტანსავარჯიშო დარბაზების და მოედნების მოსაწყობათ.

ყველაზე დიდი მოედნები—სარბიელები აქვს უნივერსიტეტებს. თითო ამ სარბიელზე დასაჯდომი ადგილი მაყურებლებისათვის არის 100,000 მეტი, გარდა იმ ადგილებისა, სადაც შეიძლება ფეხზე დგომა.

აქ საინტერესოა მოვიყვანოთ ამერიკის უნივერსიტეტების ადმინისტრაციის შეხედულება ტანვარჯიშობაზე.



საწურთნელო სამზადისი ტფილისში 1921 წ.

ფიზიკური განვითარება ისევე საჭიროა, როგორც გონებრივი, ამიტომ სტუდენტს არ აქვს უფლება დიპლომზე, თუ ის არ ესწრება ტანვარჯიშობის გაკვეთილებს.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს ევროპაშიაც. ბოლოს და ბოლოს თუ ამ მიგაღლითებმა არ დაგვარწმუნა ფიზიკურ განვითარების აუცილებლობაში, ჩვენ შევიცდებით დავახსიანათოთ თუ რა გავლენას ახდენს ტანვარჯიშობა ადამიანის სხეულზე.

იგი ადამიანს ალამაზებს, აძლევს მას ძალას და აჯანსაღებს მას.

ძველი საბერძნეთის ხელოვნება განვითარდა და განმტკიცდა ტანვარჯიშობის და ნაწარდის (სპორტის) საშუალებით.

მაშინდელმა ხელოვნებამ მიახწია უმაღლეს წერტილს მიტომ, რომ იგი დაფუძნებული იყო რეალურ სილამაზეზე. მართლაც და ძველი საბერძნეთის მოქანდაკე მოდელებს ჰპოვებდა იმ ახალგაზდათა შორის, რომლებიც ვარჯიშობდნენ ოლიმპიურ მოედნებზე.

რაც შეეხება ღონის განვითარებას, ბევრი ამბობს—განელო იმ დრომ როდესაც ღონეს საზოგადოების ცხრწრებაში მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, იმ დროს, როდესაც კულტურა იდგა დაბალ საფეხურზე და ადამიანს არ ჰქონდა გამოგონილი ყველა ის საგნები, რომლებიც მექანიკური შრომით უადვილებდნენ მას მუშაობას, ღონეს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგანაც იგი აძლევდა ადამიანს საუკეთესო ცხოვრების უფლებას.

ერთი შეხედვით ამ ჟამდ ღონის განვითარებას არ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ თუნდ არ მივაქიოთ ყურადღება იმ შემთხვევებს, როდესაც ღონე საჭიროა ყოველ დღიურ ცხოვრებაში, თუნდ არ მივიღოთ მზადველობაში ის, რომ ღონე, როგორც ასეთი, წარმოადგენს ერთგვარ სილამაზეს, უნდა ითქვას, რომ ღონის განვითარებასთან ერთად ვითარდება ჯანმრთელობა. ეს კი უდიდესი ბედნიერებაა ადამიანისთვის. ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური განვითარება აუცილებელია. ჩვენში ტანვარჯიშობა ახალი საქმეა, ბევრია გაკეთებული. მართალია სახელმწიფომ ეს საქმე თავის მკარველობის ქვეშ აიღო, მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება, რომ ერის ფიზიკური არსებობა—ჯანმრთელობა მკვიდრ ნიადაგზე დადგეს.



## ბ. გიორგივი. ჩვენი ტანისამოსი.

ყოველივე კულტურული ერი სცდილობს სხვა და სხვა საშუალებებით ადვილათ მოიპოვოს თავის მატერიალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ერთ-ერთ ამ საშუალებათაგანს შეიძლება ცხოველთა ჯიშის გაუმჯობესება მათ მეურნეობაში მოხმარებისათვის. ამ დარგში მეცნიერებამ დიდ შედეგებს მიაღწია. რასაც მონიღომებში ყველას მიაღწევთ: თუ გინდათ ქონი მიიღოთ, შეგაძლიათ ისეთი ღორი მოაშენოთ რომ ვერც კი დალიოდეს სიმძიმისაგან: თუ გინდათ, ღონიერ ცხენს მიიღებთ, გინდათ ლამაზს.

კულტურულ ქვეყნებში იშვიათად შეხვდებით ცუდი ჯიშის საქონელს, სკარბობენ ხელოვნურად შექმნილი ჯიშები, ყოველივე საქიროებისთვის განსაკუთრებით შექმნილი.

გადახედოთ მათ პატრონს, კულტურულ ერს, არის იგიც გაუმჯობესებულ ჯიშის?—ყოველთვის ვერა. და განა არ შეიძლება მისი გაუმჯობესება!—შეიძლება. ამის მავალთს გვაძლევენ ძველი ბერძნები. სილაპაზით, ტანით, ღონით, სისხარტით, გამბედაობით ყველაფრით მაღალნი იყვნენ ისინი, მათ შემდეგ არავის არ უჯობნია ყველა ზემოთვლილში.

რით მიაღწიეს ელლინებმა ზეციურ ტანის აგებულებას? რასაკვირველია უმთავრესად ვარჯიშობით, მაგრამ სხვა მიზეზებიც უწყობდა ამას ხელს საბერძნეთში. მე აქ არ შევხვები ტანვარჯიშულ თანწყობების ვარჩევას, არამედ ვეცდები დავასურათო ზოგ-ზოგი საშუალებათაგანი პარმონიულ ტანის შექმნისა, რომელთაც ძველი ბერძნები ხმარობდნენ. უპირველესად ყოვლისა ისინი სრულიად უტანისამოსოდ ვარჯიშობდნენ და ამას ორნაირი აზრი ჰქონდა. ჯერ ერთი ყველა მათგანი სცდილობდა ერთი მეორისთვის ემჯობინებინა ტანის აგებულებაში და მეორის მხრით მათ იცოდნენ კანის ანატომიურ მოქმედების შესახებ.

ორ ათეულ საუკუნემ განვლო, ელლინთა აპოგეის შემდეგ კულტურა წინ მიდის. ნუ თუ ჩვენ მათზე ნაკლები ვიცით? ვიცით, მათზე მეტიც ვიცით, მაგრამ რათ გვიინდა მძლავრი მკლავების ქონა და მხარ-ბეჭი. დერკიცი ისეთ ტანისამოსს შეგვიკერავეს რომ ლამაზ ტანისაც ვიქნებოთ, სხარტიც, რა უყოთ რომ სულით ვერ ვიქნებით მძლავრნი. ქვეშმძრომი უფრო მეტს მიაღწევს ამ ქვეყნად.

უკანასკნელ ყოილის ტანისამოსში გამოკიპიული ბამბის მხარ-ბეჭიანი რაინდი ვერც კი დაიკუზება წაქეული ბავში რომ წამოაყენოს. ჩვენი კოპწია ქალები აბრეშუმებში ვახვეულნი ანგელოზებს გვანან, ვიდრე ტრამვას წამოწევას მონიღომებენ სიბრბილით.

შევარდენთა კავშირის გამგობამ ვადადვა კიდევ ერთი დიდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ერის გაჯანსაღების საქმეში. მან გამოიშუშავა განსაკუთრებული ტანისამოსი შევარდენთათვის.

ლია მკლავი, ტიტველი მუხლი, სადა, მსუბუქი ტანისამოსი ყველა ეს ხაზს გაუსვამს ჯანსაღ ლამაზ ტანის მაიქიენელს დანარჩენთაგან. ეს ტანისამოსი ხაზგანსმით დაანახებებს ყველას თუ რას ქმნის შევარდენი ტანის კულტურის ძეგაში და ყველა ეცდება უკვე შექმნილ ლამაზ-ტანიანს მიჰბაძოს.

თვით შევარდენს კი ალარ დაამძიმებს სამი-ოთხი წყება ტანისამოსი. ჰაერი თავისუფლათ მიეკარება მის კანს, შევა შიგ სხეულში და მოახდენს ნივთიერებათა გადამუშავების პროცესის აჩქარებას. გაუმჯობესებს მის შინაგან ორგანოებს და ვადაარჩენს ბევრ ავთამყოფობისაგან. ტიტველი ნაწილები ტანისა თვით ხშირ დაბანვას მოითხოვენ, რათა ქუჩის მტკერი



ქუთაისის შევარდენთა გაფრენი წყალწითელაზე.

მოიცილოს. აქ წყლის მოქმედებაც იზამს თავისას და კანის მოქმედებას შეუმსუბუქებს. შევარდენი შეუღდა ქართველთა ჯიშის გაუმჯობესებას. გუშაგობერს!

## ს. ასლანიშვილი

ქუთაისის შევარდენთა გაფრენი წყალწითელაზე.

ეს იყო წარსული წლის 26 ოქტომბერს, როდესაც ქუთაისში ჩასვლისას იქაურ დამებელ უამბობდი ტფილისელ შევარდენთა გაფრენების შესახებ. იქავე გადავწყვიტეთ მოგვეწყო გაფრენი წყალწითელაზე. მართლაც დანიშნულ დროისათვის შეიკრიფენ შევარდენები დარბაზში 4 საათისათვის და მწყობრით გაფრთხილდნენ საფრინოსაკენ. იქვე არიან კაკო, მიშა, ევგენი. საფრინოს ეკლესიასთან მწყობრი დაიშალა და იერიშით ავედით რკინის გზის ლინდაგზე, საიდანაც ლამაზად მოსჩანს წყალწითელა თავის მიდამოებით. იქვე გადავიღეთ სურათი და სირბილით დავეშვიტე წყალწითელის ხიდისაკენ. შევარდენები, რომელნიც პირველად ჩავიდნენ ხიდან, უკვე წყალწითელაში ცურაობდნენ, მიუხედავად იმ სიცივისა, რომელიც შემოდგომის შეგვიანებისას მართლაც საგრძნობი იყო. ხილიდან ავყევით მდინარეს ზევით გვირაბისაკენ, რომლის სისწორეზეც წისქვილისათვის წყალში დამბებს აკეთებდნენ და სწორედ იმ ადგილას მუშებთან ერთად დამბებზე წყლის ზემოთ გადავიღეთ სურათი. გვირაბიდან დავიწყეთ ასვლა მთაზე რკინის გზისაკენ. დაგვიანებული შევარდენები თანდათან გვემატებოდნენ. კლდეებით ავდიოდით ნელნელა ზევით. გზაში დაგვხვდა ახლად მოსული შევარდენები ვიტარა-მანდალინებით. ორკეტრთან შეიკრიფენ ყველანი და იმ შეკრებილი ისარგებ-

ლა ვარჯიშითაჲმ ძმა მიწამ და მოუწოდა შევარდნებს, რათა ჩემის დახმარებით კავშირის თავმჯდომარეს ძმა გიორგი ნიკოლაძეს და ვარჯიშთაჲს ძმა გურგელ ეგნატაშვილს, მასთანვე მთელ ტფილისელ შევარდნებისათვის გადაეცათ ძმური საღამი. ამ წინადადებას ვაშას ძახილით შეხედნენ შევარდნები. გაიშართა მალღობზე ცეკვა თამაში; მხიარულობდა ყველანი. უკვე შემოღამებისას მწყობრით მოეწყო ბრძანებისამებრ შევარდნენი და გამოეცხვიეთ ქალაქისაკენ. გზა გზა სულ სიმღერები იყო, რომელიც უფრო და უფრო გაძლიერდა მაშინ, როდესაც მოუახლოვდით ქილაქის შუაგულს ბაღთან, სადაც მრავალი მოსიერნი ხალხი იყო. ირგვლივ ისმის ტაში და ვაშა, რაც უფრო ამხნევეს შევარდნებს. ეს სრულიად ახალი იყო ქუთათურებისათვის, რომ შევარდნენი მწყობრით და სიმღერით მიიწივედა თავის ბუღისაკენ-ასე დასრულდა ის პატარა, მაგრამ სასიამოვნო გაფრენი.

## მომკინალი

### გაფრენი მავნაჲც მა.

30/IV რვა საათისათვის მე-2-რე შევარდნში იწყებენ შეკრებას დები და ძმები; ცა მოღრუბლულია და ბევრს ალბათ გადაფიქრებინა გაფრენზე წასვლა. მაინც საკმარისად შეიკრიბნენ და როცა მწყობრში ჩადექით და გაციოვალეთ 68 და-ძმა აღმოჩნდა. სელიგეზი მარტო გაფრენთან იცის და ნახევარ-საათში მან უკვე მოგაკაშორა მტერიან ქალაქს. ბოტანიკურ ბაღის ზემოთ ჩვენ უკვე თავისუფლათ ამოვსუნთქეთ სუფთა ჰაერი, დაეჭვებით ერთის მხრით მწვანე ფერდობების მხრით, მეორის მხრით გძლათ გაქიმულ ტფილისის სანახაობით. მწყობრი დაიშალა და შევარდნები ჭიანჭველებივით მოედნენ მთას. პირველი მთა წამსვე გადავლახეთ, მერე მეორე. დაეტოვეთ მარჯვნივ ტაბახმელა და შეენაბადს გავემართეთ. ერთ ნაპირს გადახვედავ დინახავ მტკვარს და მის ნაპირას ტფილისს, მეორის მხრით ფართო ველი ლამაზად ამწვანებული და დაყოფილი ნათეს მინდორთა ზოლებით. არ იცი რას უყურო დატოვებულ ქალაქს, თუ ამწვანებულ მდელს. აჰა შეენაბადსაც მივალწვიეთ, შევედით მის ეზოში და მივეციეთ დასვენებას, რადგან აქ ბევრი დასათვალიერებელი არა აღმოჩნდა რა. პატარა ეკლესია როდესაც ქართველთა ეხლა სომხებისა სომხურ წარწერებით, ირგვლივ პატარა ეზო და იქვე დანგრეული სახლი, მაგრამ მის აივანიდან კი მშვენიერი გადასახედი. ტფილისი მარცხნივ, მარჯვნივ კუმისის ტბა, თელეთი, კუმისი ყველადფერი სჩანს წვეტიან მთაზე აშენებულ მონასტრის აივანიდან. უკვე თორმეტი საათია, ჩვენ კი არა გვიქამია რა, არც დაგვისვენია. ჯგუფ-ჯგუფად იწყობიან დები და ძმები საუზმისათვის, ყველას მოშვიდა და ორივე ხელით საქმელს ეტანება. საქმელმა ყველა მოასულიერა იქ დოლს უტარვენ აქ სიმღერა გაისმის. ძმა სოს-ოს მთის ძირში მყოფ წყაროდამ წყალი მოაქვს კოკა ზურგზე აკიდებელი, ალბათ უნდა თავისი ქიხიყი მოიგონოს.

დილით მოღრუბლული ცა ეხლა მოიწმინდა და უკვე გზაში ძმები იხდიდნენ ზეტანს. შორს მინდორში კი მოჩანს კუმისის ტბა და მიგვიზიდავს ჩვენ, რათა მის გრილ წყალში დავივიწყოთ სიცხე. სოსოს მოსლის აზრით სირბილით მივიდეთ ტბასთან, ვიბანოთ და დაებრუნდეთ. აბა ვინ წამოვა? ვკითხულობთ ჩვენ. მარტო ექვსი კაცი აღმოჩნდა მსურველი გარბენში მონაწილეობის მიღებისა. მივრბივართ მინდვრით, ტბა აღარ სჩანს, მიმართულება კი რკინის გზის



სადგურზე გვიჭირავს. რომელიც ტბის უკან მოსჩანდა მთიდან. რამდენჯერმე შევწყვიტეთ სირბილი და ფეხით წავედი. უკვე 35 წუთი შესრულდა როდესაც ტბა გამოჩნდა. ახალის ენერგიით გაიქვიცი, უკან ჩამორჩენილი გვეწვიანი, მე და მიქელმა გაუტყით რაც ძალი და ლონე გვექონდა, ასე გვეგონებოდათ პირველ ჯილდოს მიღებაზე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მე და მიქელ მავარდით ტბას და ცოტას ვასწყუა შიგ არ გადაცვივდით, რამდენიმე წუთში ყველანი მოვიდენ და გაიმართა ბჭობა. მიქელ თავის თავს მოკურათავად აცხადებს, რადგან მარტო მან იცის ცურაობა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე არამც თუ გავგრილდით, ვავიყინეთ კუმისის ტბის წყალში. უკან გარბენა უკვე შეუძლებელია, დაღმართზე 40 წუთი ვირბინეთ და აღმართზე რამდენი უნდა გვერბინა. ჩვენ ტბა ახლო გვეგონა და 6 ვერსი მინც გამოვდა. ტანსაცმელ ჩაუტყმლათ მწყობრით სიმღერით გავემართეთ უკან. ყველა ჩვენგანი სიამოვნების მეტს არას გრძნობდა არც დაღლილობას არც სიცხეს. არც დარჩენილთ გაეტარებინათ დრო ცუდათ. იქ გაემართათ მზიარული თამაშობანი რის შემდეგაც ვადილეს სურათი.

უკვე ექვსი საათი შესრულდა როცა გაფრენთავი აცხადებს მომზადებას გამგზავრებისათვის. სანამ კი იწყება ბადროს ტყრცნა. როდესაც მთის ძირს ჩამოვედით, გზაზე უკვე ბნელდებოდა. გზაზე გოგონები იწყებენ სიმღერას, ძმებიც აპყვენ და ასე შეუმჩნეველად მივედით შაითან ბაზარში.

იქიდან კი მწყობრით შევედით ქალაქს. ნელ-ნელა იწყებს წვიმას მაგრამ ეს მინც ჩვენ სიმღერას ვერ შესწყვეტს. სასახლესთან რომ მიუახლოვდით წვიმამ დაასხა მსხვილათ, აქ კი ვიკადრეთ და გაფრენთავის ბრძანით სირბილით მივედით მე-2-რე „შევარდენში“ დიდი ხანი მოვიგინდა იქ მოცდა, ვიდრე წვიმას ვადილებდა, დარბაზში შევედით და და ძმანი დასვენების მავივრათ იარაღს დაეწათენ.

ნელ ნელა იწყეს დაშლა და თუმცა დასვენებულნი მინც ნასიამოვნები დაბრუნდენ სახლში და-ძმანი.

**შმხბურთის სახელსახეობა**

საქ. შვკარდ. კავშირის მიერ დამცვიცუჟილა.

Аут — გარე	Рефери — მსაჯი
Бек — მცველი	Состязание — შეჯიბრი
Голкипер — კარგუშავი	Спорный удар — სადაო
Капитан — თამაშთავი	Фоль — ჯარიმა
Корнер — კუთხური	Форв рд - მარბი
Крайний форв. — გარემარბი	Футбол — ფეხბურთი
Овсайт — თამაშგარე	Хэвтайм — ერგხანი
Обер — ზეტდენი	Хавбек (центр.) — შუალა (ცქიტი)
Ленсман — ქვემსაჯი	Хенц — ხელი

მისალმება შევარდნულ გუნდებ შო ის „გუშავაობერს“-მარად\* (სამჯერ).

მელომსროვის სსხლსსხმბ.

Барьер—თარჯი  
 „ ный бег—თარჯრბენი  
 Бег—რბენა  
 Бегун—მორბენალი  
 Беговая дорожка—გვერდბტომი  
 Диск—ბადრო  
 Дротик—ხელშუბა  
 Команда—გუნდი  
 Командный бег—გუნდრბენი  
 Копье—შუბი  
 Кросс-коунтри—გეზრბენი  
 Круг { მოვლი (действие)  
 { მონავლი (результат)  
 „ беговой—წრესარბი  
 „ беговой дорожки—გზასარბი  
 Многоборье—მრავლკიდი  
 десяти-пяти трое—(ათ-ხუთ-სამკიდი)  
 Молот—ურო  
 Очек—ქულა  
 Планка—თამასა  
 Прыжок { ხტომი (действие)  
 { ნახტომი (результат)  
 Рекорд—ზეხწევი  
 Рекордсмен—ზეხწეოსანი  
 Старт—საწყისი  
 Скорость—სიჩქარე  
 | Спорт—ჯიბრვარჯიში, ჯიბროსნობა, ნავარდი.  
 | დამტკიცებული არ არის. |

Стиль бега—რბენის ყაიდა (იერი)  
 Спринтер—სწრაფრბენალი  
 Спринтерский бег—სწრაფრბენი  
 Стайер—მძლვრბენალი  
 „ „ ский бег—მძლვრბენი  
 Состязание—შეჯიბრი  
 Стоялки—სახტუნი სარები  
 Толкание—კვრა  
 Тройскок—სამხტომი  
 Ускорение—აჩქარება  
 Финиш—სამთავრი  
 Ход—სვლა  
 Ходьба—(состяз.) მკლური  
 Шаг { ბიჯი (действие)  
 { ნაბიჯი (результат)  
 Шест—ქოკი  
 Эстафета—ამანთი  
 „ ный бег—ამანთრბენი  
 Ядро—ბირთვი  
 Куб—წესვტრი  
 Прямой прыжок—წინხტომი  
 Секундомер—წამზომი  
 Свисток—სასტვენი  
 Рулетка—ხვეულა  
 Разбег—გამორბენა  
 Пробег—გარბენი

ფსხპსრთილი. — აუზრუთის მეჯიბრნი.

წერილში ფეხბურთის შეჯიბრებზე ჟურნალ „შევარდენში“ მე გამოვსთქვამდი იმედს რომ გაზაფხულზე ფეხბურთი ტფილისში გაცხოველდება და მეტს შედეგებს იქონიებდა. ასეც მოხდა თუ მარტს მოსამზადებელ თვეთ ჩავთვლით, აპრილისათვის უკვე 5 გუნდი შესლდა ფეხბურთის განწევრში.

კვირაში ორი, ხშირათ სამი შეჯიბრიც კი იმართებოდა. აღსანიშნავია ის რომ არც ერთი დამარცხება ჩვენ განწევრს არ მიუღია, თუმცა ხშირად შეხვედრია მას ძლიერი მოწინააღმდეგე. რაც დრო მიდიოდა სულ მეტი საინტერესონი ხდებოდენ შეჯიბრნი რადგან მოწინააღმდეგენიც იწვრთნებოდენ.







საქ. შეგ. კავშ. ჩოგბურთის განწვევრის  
უფროსი ძმა გიორგი ლორთქიფანიძე  
† 9 მარტი 1922 წ.



ტფილისის შევარდენის მოვარჯიშე და  
საბჭოს წევრი ძმა გაბო შანთაშვილი  
† 10 მაისი 1922 წ.

ცხალი ბავში უკვე 14 წლ. დან გაიკავა ჩოგბურთის თამაშობამ და მთელ თავისი არსე-  
ბით ჩაეა მასში. გამხდარი, ძარღვანი, მარჯვ. (ფიზიკურ ნაკლის მიუხედავად), თვალში  
კარკაით ამ-მღები, ჩინს ნიქს ავ დარკში და მალე დგება ტფილელ მოთამაშეთა პირ  
ველ რიგში.

დაპირა 1918 წლის მაისის 26-მა. აბიბინდა ამ გაზაფხულის მწვანესთან ერთად ეროვნულ  
ნიადაკზე მუშაობა. დაა-სდა „შევარდენი“. სულიერი კვებების გამო ჩვენი ძმა გიორგი  
ვერ დარჩეოდა ოჯახს გარედ და გადასწყვიტა თავის ძალღონე მოეხმარა „შევარდენი“-ს  
დროშის ქვეშ ქართველ ახალგაზღობაში ჩოგბუთის განვითარებისათვის. სხვებთან ერ-  
თად მან დააარსა „შევარდენი“-ს ჩოგბურთის განწვევრი და მიუხედავად არა ხელ-  
საყრელ პირობებისა, სამი წლის განმავლობაში მიჰყავდა და აწვითარებდა ამ საქმეს.  
ყველა ეხლანდელი შევარდენები ჩოგბურთელეი მისი მოწაფეება არიან. იშვიათად, ოჟ  
ვისმეს ექნებოდა ისეთი სწორე, ეგრეთწოდებული, კლასიური თამაში, როგორც განსვე-  
ნებულს, და ეს თვისება მას შეუღარებელ ვარჯიშ ავად ხდიდა. თანამედროვე პირობებმა  
მის მსწრაფებას ხელი ვერ შეუწყო, მოაშორა საყვარელ საქმეს. შარშან შემოდგომას მან  
დააწება თ.ვი „ჩოგბურთის შევარდენი“ ს ვარჯიშთავობას, რადგან იძულებული იყო შე-  
სულიყო საშახტურში ტფილისს გარეუ.

იმავე პირობებმა, თანამედროვე სიღუბეში, როგორც ეკუთბა, იქონია გავლენა მის  
სხეულზე. უკვე შარშან ზაფხულში იგი ხანგრძლივ ციებ-ციხელებით მძიმედ ავად იყო.  
ავათმყოფობა ვადიტანა, მაგრამ სხე ლი დასუსტდა და ბოლო ხანებში, როდესაც ავად  
გახდა სახადით, ვეღარ აიტნა და განშორდა სამუდამოდ ამ ქვეყანას 22 წლის ყმაწვილი.  
„შევარდენი“-სათვის ძვ რფასი იყო არა მხოლოდ ის ვარემოება, რომ გიორგი ჩოგბურ-  
თის კარგი მოთამაშე იყო, არამედ ისიც, რომ ის იყო საზოგადოების გამაერთიანებელი

სათუთი გულას პატრონი. ამ თვისებათა წყალობით „ჩოგბურთის შევადენი“ წარმოადგენდა ერთსულოვან, მკიდრო ოჯახს, დაკავშირებულს „შევადენი“ ს სხვა ნაწილებთან. დაიძინე მშვიდობით, ჩვენო გიორგი!  
მოკლე იყო შენი სიცოცხლე, მაგრამ შენ მაინც მო სწრე რამის გაკეთება, და შენი ხსოვნა არ ამოიშლება შენი ამხანაგების და მოწაფეების გულიდან!

### სტვილილი შიშარდენი.

† ბმა გავთ შანშიაშვილი.

ტრადიკულად გარდაიცვალა ძმა ვაბო. ის შეიქნა ცეცხლის მსხვერპლი. ის მარტოდ მარტო ებრძოდა ცეცხლს, რათა ეხსნა ოჯახი და მეზობლები და არც იცოდა, რომ თვითონ უკვე ნახევრად დამწვარი იყო. ათი დღე იწვალა და გარდაიცვალა კიდევ. ვის არ ახსოვს ძმა ვაბო ცოცხალი, მზიარული, მკვირცხლი. ერთი წელიწადის განმავლობაში მუშაობდა ის შევარდენში, მაგრამ ეს მცირე დროც მან საუკეთესოდ მოახმარა შევარდენს. როგორც სერიოზული ადამიანი, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა შევარდენის მნიშვნელობა, შემოვიდა ის შევარდენში და შეუღდა ვარჯიშობას ძმათა რიგებში. ეს იყო ზაფხულში შარშან. შემოდგომას, როდესაც შესდგა ტფილისის შევარდენის საზოგადო კრება, ძმა ვაბო არჩეული იქნა საბჭოს წევრად და ის მუდამ როგორც საბჭოს წევრიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ცეკავშირში მუშაობის შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა ის შევარდენისკენ, რომ არ დაგვიანებოდა ან ვარჯიშობაზე ან მორიგეობაზე. შევარდენი მას შეუყვარდა ისევე, როგორც რომ შეუყვარდა ის შევარდენს. მაგრამ ხანგრძლივი არ იყო მისი სიცოცხლე, ის მსხვერპლი შეიქნა ცეცხლის. აღარ არის ძმა ვაბო, რომელიც თავის სიმზიარულით და მხნე მუშაობით კვლავ ჩვენთან ერთად იმოქმედებდა შევარდენში. საუკუნო იქნება ჩვენთვის ძმა ვაბოს ხსენება.

## ზიკლიოგრაფია.

შრტა-ინენს გუფი.

ჟურნალი „შევარდენი“ საქართველოს შევარდენის კავშირის გამოცემა № 1 1922. მასია. დედა ქალაქი.

ჩვენ შევარდნულ ცხოვრებაში ჟურნალის გამოსვლას, უსათუოდ; დიდი მნიშვნელობა ეძლევა. შ. კავ. არსებობა უკვე საკმაოდ ნათელ ჰყოფს ჩვენ ერთსხეულებას, და მხოლოდ პერიოდული გამომცემლობა მისცემს ამ სხეულს სულიერ საზრდოს. პროვინციის შევარდენთა ბუდეებისთვის ჟურნალის გამოსვლას ამიტომაც ისტორიული ხასიათი ეძლევა.

რაც შეეხება ჟურნალის საერთო დაფასებას, სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი დაწყების ზომსადარს აკარბებს და სპეციალურ ჟურნალის მოთხოვნილებას საეცებით აკმაყოფილებს.

ჟურნალი შეიცავს VI განყ. და ქმონური ნაწილი ბევრ საინტერესო მასალას მისცემს ვარ-



ჯიშთავეს და წუროთნელთ. არ არის დავიწყებული მრიცხველობაც და იქ შედგენილი ცხრილების მიხედვით ნაწარმოები ციფრები საეხებით სრულ სურათ დახატავს საზოგადოების ცხოვრებისას. ერთი რამ დაგვარჩენია ვისურვით, რომ ჟურნალი გამხდარიყოს პერიოდულ გამოცემათ და ტფილისსა და პროვინციის შორის გამბულიყოს შეუწყვეტელი კავშირი მისი საშვალბით. ჟურნალი გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მხოლოდ სურათები ქალაქის გამო კოტა ბუნდოვანნი არიან.

ქმონსური ნაწილი წიგნის მავიერობას გასწევს. გ. ეგნატაშვილის დიერი, თ. ნიკოლაძის ორძელზე ვარჯიშობა, ი. მაჭავარიანის ქანღერძი მხოლოდ აქ არის დასტამბული და ყველა წუროთნელი იმედია ისარგებლებს ამ მასალით როგორც სახელმძღვანელოთი. ჩვენ ყველა ძმებმა უნდა მივიღოთ ჟურნალის კიდევ უფრო გამდიდრებისათვის მხურვალე მონაწილეობა.

პროვინციამ მოაწოდოს კორესპონდენციები. გამოგზავნოს შეკითხვები და რედაქციამ სათანადო პასუხა დასაცეს. ჩვენ იმედი გვაქვს და ჩვენი რედაქტორის ძმა სოსო ასლანიშვილის ენერჯია საკმაო საბუთია მისი, რომ ჟურნალი შეასრულებს თავის დანიშნულებას.

დასასრულ ჩვენი მოკლე შენიშვნისა, რომელიც სრულებით არ ეხება ჟურნალის დაფასებას დაწვრილებით, უნდა აღინიშნოს ჟურნალის №4 გვერდიანი დამატება: „შევარდენთა გაფრენები“ ს. ასლანიშვილის. ეს გაფრენები ღირსია მისი, რომ მასზე შეფერდეთ. ძმა ასლანიშვილის დამსახურება დიდაა მითი, რომ გაფრენებით და მათი აღწერით შეჰქმნან ძმური და შევარდნული ინტიმობა. ეს დამატება ყველა გარეშე პირთათვისაც სასიამოვნო წასაკითხი იქნება, რადგან ბევრია შეგ ძმური სიყვარული, უშუალო სიხარული და პოეტური განცდა სამშობლოს სიყვარულისა. მასთან ეს ძვირფასი ისტორიული მასალა ჩვენი ცხოვრებისათვის. ვისაც არ სწამს ჩვენი ძმობა და ვინც ჯერ კიდევ ურწმუნო თომბა, წიკითხეთ გაფრენები და თქვეთ მიხედვებით თუ რა დიდი სიხარულია „ცა-ფირუხ ხმელეთ ზურამუხტ“ ქვეყანაში ცხოვრება და ამ ქვეყნისთვის მუშაობა, მის ბრწყინვალე მომავალით გატაცებულ შევარდენთა ძმობა.

## მ. შ. შ. შ. შ. შ.

საქართველოს შევარდენთა კავშირის წუროთნელთა დებულება. ტფილისი. 1922 წ. 8 გვერდი.

დებულება, რომელიც შემუშავებულია ძმა გ. ეგნატაშვილის მიერ და გამოცემული ცალკე წიგნად, კარგია თავისთავად, ვინაიდან შიგ გარჩეულია ყველა იმ პირთა მოვალეობანი და უფლებანი, რომელიც მინიჭებული აქვს შევარდენთა კავშირის წუროთნელთა კრებულებს. დაწყებული კავშირის ვარჯიშთავიდან და დამთავრებული მოვარჯიშე და არა წევრამდის— ყველა ნახავს შიგ თავის მოვალეობას და თავის უფლებას, რაც ასე საჭიროა შევარდნულ წესმორჩილებებისათვის. დებულება ეს მთელი შრომაა, რომელსაც ეტყობა შემდგენელის დიდი უნარი მუშაობისა. აღნიშნული დებულება დამტკიცებულია შევარდენთა კავშირის მიერ და შეიცავს 8 გვერდს.

ს. ბ.

დ. ჯავრიშვიდი. საშუალო სკოლის სახელმძღვანელო. ბათუმი 1922 წ. 32 გვერდი.

ქ. ბათუმში ძმა დათა ჯავრიშვილმა გამოსცა მეორეთ თავისი შრომა „საშევარდნო მწყობრის სახელმძღვანელო“. აღნიშნული შრომა ავტორმა ქუთაისში გამოსცა ორი წლის წინად და შევარდნულ ცხოვრებაში მისი ნაშრომი სიახლე იყო. „მწყობრი ერთ ერთი რთული ვარჯიშთაგანია ყველა ვარჯიშებში—აღნიშნავდა ძმა გოგია თავის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში—დ. ჯავრიშვილის ნაშრომის პირველ გამოცემის შესახებ (იხ. ჟურნალი „შევარდენი“ № 1)—მისი აღწერაც და დალაგებაც ალბად დიდ შრომად უღირდა ავტორს. მაგრამ უნდა მის სასახელოთ ითქვას რომ ეს მან დასძლია და სახელმძღვანელო ფრიად დამაკმაყოფილებელი გამოვიდა“. იგივე ითქმის ეხლა და მასთანვე აღსანიშნავია, რომ ასეთ პირობებში ავტორმა შესძლო მეორეთ გამოცემა თავისი ნაშრომი და გადაეღაბა ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც დღევანდელ პირობებში ელოდება საერთოდ ყოველგვარ გამოცემას, მხოლოდ სამწუხაროა ის, რომ ძმა დ. ჯავრიშვილმა ვერ შესძლო ამ მეორე გამოცემაში დაერთო ის მეოთხე თავიც, რომელიც უკვე გამოაღებული აქვს. წიგნი კარგ ქალაღზე გამოცემული და შეიცავს 32 გვერდს.

**შეპარღენი გე.**

„Сокол“ — журнал гимнастического общ. „Сокол“. Батум 1922. № 1 цена 30.000 р.

ბათუმში ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა ტანსავეარჯიშო და სასპორტო ჟურნალი „Сокол“-ი (ბათუმის საზოგადოება Сокол-ის გამოცემა).

ამ უამად როდესაც ჩვენი ქვეყანა უწიგნობის გამო ნამდვილ კრიზის განიცდის, ამნაირ ჟურნალის გამოცემა ძალიან სასიამოვნო მოვლენაა.

ჟურნალი ეხება ბათუმის სოკოლის ტანსავეარჯიშო და სასპორტო ცხოვრება-მუშაობას. სამწუხაროდ ტანსავეარჯიშო ქმოსნური (ტენიკური) ნაწილი ძალიან სუსტობს. მოყვანილია სულ უბრალო უმარტივესი ვარჯიშები განსაკუთრებით წურთნელთა ჯგუფისთვის. არც ერთი ჯგუფის ვარჯიში სამ უმარტივეს ასოს არ აღემატება. ვარჯიშის დასახელება და საერთოდ ჟურნალში ნახმარი სახელსახეება რაღაც საშინელ არევე დარევეს წარმოადგენს. ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია მითითება იმაზე, რომ რუსეთში არსებობს ძალიან ღწური და კარგად შემუშავებული სახელსახეება, რომელიც უკვე 1911 წლიდან იხმარება.

**შეპარღენის ტანსავეარჯიშის სხნის ტარებლის წმინდ შეპარღენის გერეზე.**

§ 1. შევარდენის სახის ტარება შევარდენთათვის შეიძლება ქუჩაში და ყველა საზოგადო დაწესებულებებში.

§ 2. ტარების უფლებისათვის საჭიროა: ა) წვერებისათვის ოლქის წურთნელთა კრებულის ნებართვა თავის ვარჯიშთათვის წარდგენით. ბ) ბავშვთათვის და მოზარდთათვის საზოგადოების ვარჯიშთათვის ნებართვა.

შენიშვნა: სადაც ოლქი არ არის, საჭიროა ვარჯიშთათვის ნებართვა.

- § 3. სახის ტარების დროს შევარდენს უნდა ქონდეს შესფეროი ნებართვის მოწმობა.
- § 4. ყველა შევარდენი ვალდებულია ღარსკებით ატაროს სახი (ფარმა) და ნიშანი, და წესმორჩილების და პატიოსნებ ს მაგალითი იყვეს.
- § 5. ყველა შევარდენი, როგორც ბუდეში, ისე გარეთ ვალდებულია იყოს თავაზიანა და ზრდილი, როგორც ურთიერთ შორის, ისე კერძო მოქალ ქეთა მიმართ.
- § 6. სახი მიღებულ და დამტკიცებულ ტანაცმელში მყოფ შევარდენს, ან შევარდენის ნიშნით გულზე სასტიკათ ეკრძალებათ შესვლა სამიკიტნოში, საქეიფო სარდაფებში, ტრაქტარებში, ცუდი რეპუტაციის (ასაღლობში), შანტანში, და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში.
- § 7. სასტიკათ აკრძალულია სადაც არ უნდა იყოს სიმთვრალე.

## შევარდენთა ცხოვრება.

მ. კახიანი. ისნის სეკრეტარი.

ერთი წლის წინად გაიხსნა ავლაბარში შევარდენი და ამ მოკლე დროის მუშაობა ღირსია დაფასებისა. ავლაბარი, შევარდენების მიერ ძველ ისტორიულ სახელით ისანად გადაკეთებული, შეიქმნა სარბელი, სადაც შევარდენმა შეიტანა თავისი ოცნის სხივოსნობა. ეს უთხე ტფილისისა ახლა კარგად იცნობს შევარდენს და შევარდენეს. მშობლებს თვითონ მოჰყავთ ბავშვები. ახალგაზრდები აქ ატარებენ თავისუფალ დროს. აქ იწვევთინება ფიზიკურად მომზადისი თაობა და ეყრება საბოიკელო მომავალ ძლიერებას. მეტი არ იქნება სხვა შევარდენებისთვის, მოკლეთ გავაცნოთ ისნის ბუდის ზრდა ამ ერთი წლის განმავლობაში. 1921 წ. აპრილში ისანის საზ. ვარჯიშობდა 150 შევარდ. 1922 წ. აპრილში 402. მათ შორის 30 წურთნელი, საშუალო დასწრების ასდანი 67. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ავლაბარი ქ. ტფილისის ერთი დიდი უბანთაგანია მაშინ ცხადი იქნება, რომ საზოგადოება მომავალშიც ზრდის გზას არ უნდა ასცდეს. მთელი ეს მუშაობა გასწია უმთავრესათ ისნის ვარჯიშთავმა ძმა ვანო კუკავაქემ და მომავალში სრული იმედი გვაქვს ისნის შევარდენი ღირსეული წევრი იქნები ტფილისის შევარდენთა ოჯახისა.

ახლა აქ სწარმოებს საზრისული შესწავლა შევარდენულ თანწყობისა ვარჯიშთავის ხელმძღვანელობით მალე ისინი დაამთავრებენ სავლს (კურსი) და ჩვენ წურთნელო რაზმებს კიდევ მიემატება მომზადებული მუშაკნი. რაც შეეხება ქმონსურ დონის სიმალღეს არც ეს არს ცუდ მდგომარეობაში. შედარებით შევარდენის არსებობის დროისა ქმონსური მომზადებაც კარგია და იმედების აღმძვრელი. ვუსურვოთ ისნის ძმებს მათი შევარდენის აყვავება ქართველი ხალხის და შევარდენობის საკეთილდღეოთ. გუშაგობერს!

მ. კახიანი. ქუთაისი.

8 აპრილს შესდგა მეორე „შევარდენი“-ს დამფუძნებელი კრება, რომელმაც ოფიციალურად დააარსა აქ მეორე საზოგადოება. საბჭოს წევრებათ არჩეული არიან: 1. თავმჯდ. მ. ცაგა-





რტი შვილი (სამხედრო საყოფ. სწ. უფროსი) შ. თავაჯდ. ამხ.შ. გორგაძე მ. ვარჯიშთავად  
 კ. კაკაბაძე. საბჭოს წევრები: 4. ადანიია (სპორტის და საყ. სამ. სწავ. განყ. უფრ.)  
 5. ვ. ქეიშვილი, 6. ე. მაიბოროდა, 7. კ. მოსეშვილი. მეცადინობა დავიწყეთ  
 ნაღდგომევეს. სავარჯიშო დარბაზი რეალურ სასწავლებელშია. ჯერ ჯერობით ჩაწერა  
 100-მდე წევრი, მსურველები კი ბევრია ძალიან, ასე რომ 500-მდე მოგროვდება. წურთნელ-  
 თა რიცხვი საკმარისია. არიან ძველი მოვარჯიშენი, რომელნიც 1919 წ. ასრულებდნენ წურთნელ-  
 ლის სამედიცინოს თანამდებობას. სანამ დავიწყებდა მეცადინობას მათ მომზადებას შევეუ-  
 დეჭი. გარდა ამისა პირველ შევარდენიდანაც გვყავს დამხმარე წურთნელები. გუშაგობ ერს!

**ნიკო ხუშიშვილი, დ. სიღნაღი.**

ქიზიყის „შევარდენმა“ 35 ვაჟის, 36 ბიჭ-ჭაბუკის, 17 გოგონის და 21 ქალის (სულ 109)  
 შემადგენლობით 12 მარტს დილის 7 1/2 საათზე, ს. ნუკრიანის გზით, მოახდინა გაფრენი  
 ქალაქიდან 8 ვერსის მანძილზე-დაცულ ტყეში (ს. ბოდბე). აქ მოვარჯიშეებმა დაათვალიე-  
 რეს ღირსშესაცნობი ადგილები. გამართეს ცეკვა-თამაში და სხ. რადგან გაზაფხულის მზია-  
 ნი დღე ხელს უწყობდა, მოვარჯიშენი ჯგუფობრივ გაიშალნენ მწვანეზე სასადილოთ (საქ-  
 მელი ყველას თან ქონდათ). ნასადილეგს, ნასიამოვნებმა „შევარდენმა“, ხსენებულ ადგილი-  
 დან ტკბილი სიმღერით მწყობრად ვადმოიარა ს. ბოდბე, ქედლის მწვერვალი და საღამოს  
 სრულ 5 საათზე ჩამოვიდა ქალაქს. გზაზე ხალხი აღტაცებით იგებებოდა რაინდებს. განე-  
 ლილი გზა დაახლოვებით უდრის 18 ვერსს. გუშაგობ ერს!

**ტფილისი.**— დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყადთ საქართველოს შვედენთა კავშირის  
 დროგამოშვებითი ყურნალი „შევარდენი“. ჟურნალი დიდი ფორმატისაა და დასურათბტე-  
 ბულია. შეიცავს ას ოც გვერდს და 42 სურათს.

ჟურნალის მეექვსე ნაწილი „შევარდენთა გაფრენები“. ცალკე წიგნათაა გამოცემული, რო-  
 გორც ჟურნალის დამატება და შეიცავს 64 გვერდს. ჟურნალი თავის დამატებთ ელირება  
 ათათასი თუმანი.

— დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყადთ საქართველოს შევარდენთა კავშირის წურთნელთა  
 დებულება, რომელიც დიდი ფორმატისაა, შეიცავს რვა გვერდს და ღირს ათასი თუმანი.

— დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყადთ გ. მერკვილაძის „ქართული მოძრაობა თამაზობანი“;  
 რომელიც შეიცავს 120 გვერდს და ღირს ხუთ ათასი თუმანი.

— იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვიდა ი. ლორთქიფანიძის და ა. ბაქრაძის „ჯონებ-  
 ბით ვარჯიში“.

— II შევარდენმა გამოსცა თავისი ჟურნალი „გუშ გი“, VI შევარდენმა „ჩვენი შევარ-  
 დენი“, მძლეოსანთა განწერმა „მძლეოსანი“ და IX შევარდენის სახით შეერთებულმა  
 ძალოსან-მძლეოსან ჩოგბურთელებმა „ჯიბრავაჯიში“.

— V შევარდენთან გაიხსნა ქ ლთა განყოფილება, ს დაუც გაიგზავნა შემეცხე ქალ წურთ-  
 ნელნი: ტფილისის შევარდენიდან მაღალაწვილის ასული ნინო, გელაშვილის ასული თა-  
 მარა, ზაგიუს ასული გალია და II შევარდენიდან ცხეთაძის ას. ო. და დათაძის ას. იზა.

— საყოველთაო სამხედრო სწავლის უფროსის ბრძანებით ძმა გააიზ ბერელაშვილი და-  
 ნიშნულია საყოველთაო სამხედრო სწავლის მთავარ ზემოდათ, მხოლოდ საქართველოს შე-

4. 1p. 68



ვარდნის კავშირის გამგეობის დადგენილებით ის არჩეულია კავშირის და ოლქ-ს ვარდნის შთავის შემწეობა.

— შევარდნულ ტანსაცმელს სახამთრო სახის (ფორმის) შესამუშავებლად არჩეულია კომისია შემდეგ შემადგენლობით: გ. გიორგაძე, ა. ბაქრაძე, გ. ნიკოლაძე, ი. კუკავაძე, ი. მაკავარიანი; თ. ნიკოლაძის ასული, გ. ეგნატაშვილი.

— შევარდნულ საზოგადოებებში შემოღებულ უნდა იქნეს ბეჭედი და ტვიფრი შემდეგი სახით: ბეჭედი სახელმწიფო ღერბით, ირგვლივ წარწერით: **ტფილისის (ქუთაისის და სხ.) „2“ შევარდნა**. ტვიფრი (შტამპი) იქნება შემდეგი წარწერით: **ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი. საყოველთაო სამხედრო სწავლა, ტფილისის „2“ შევარდნა**. წარწერები უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

— სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარია ვლ. ჯიქიამ 22 მაისს მოიპოვა ტფილისის ყველა შევარდნულ საზოგადოებები და გაეცნო ყველა იმ პირობებს, რომელშიც უნდა იქნებოდა მუშაობა შევარდნებს. დამატებების დროს მ. სთან ერთად იყენებდა მისი პირადი მდივანი ტ. გიორგაძე, საყოველთაო სამხედრო სწავლის უფროსი ვ. გიორგაძე, საყოველთაო სამხედრო სწავლის მთავარი ზეხვედი და საქართველოს შევარდნათა კავშირის ვარჯიშთავის შეწე გ. ბერელაშვილი, საქ. შევარდნათა კავშირის თავმჯდომარე გ. ნიკოლაძე და შევარდნათა კავშირის მდივანი ს. ასლანიშვილი.

— სამხ. და საზღ. საქ. სახ. კომისიის განკარგულებით: შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გადათავალეროს სამხედრო უწყებში მღებულ ტერმინოლოგიას (სახელსახება) და შეუდარდოს ის შევარდნულ სახელსახებას, რათა ძიებულ ჯარში შემოღებული იქნეს შევარდნათან ერთად ერთი სახელსახება. კომისიის თავმჯდომარეობს საყ. სამხ. სწ. უფროსი ვ. გიორგაძე, მდივანთა არის საქ. შევ. კავშ. მდივანი ს. ასლანიშვილი, მოწვეულია ორორი წარმომადგენელი გ. დ. მწყვეტა ხმით შევარდნიდან: გ. ნიკოლაძე და გ. ეგნატაშვილი, მხოლოდ სამხედრო უწყებებიდან გ. გედევანიშვილი და ლ. ცაგარელი. ექსპერტებათ მოწვეულია მეცნიერებ: პროფ. ა. შანიძე, პროფ. კ. კეკელიძე, მ. ჯანაშვილი, მ. შალამბერიძე კომისია უკვე შეუდგა მუშაობა.

**ბათონი.**— გაიხ. ნა III შევარდნის, რომელსაც ხელმძღვანელობს მმა ლ. ახვლედიანი.

— ახლო მომავალში გაიხსნება შევარდნის ზღვ ოსანთა გახსნევა.

— შესდგა ბათონის შევარდნული ოლქის გამგეობა შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარე გოგი მერკვილაძე, ვარჯიშთავი დათა ჯავრაშვილი, წევრები: აკაკი ჩაკვეტაძე, ალექსი გრიგოლია, ალექსანდრე ომიძე, ვლადიმერ ახვლედიანი სამედიცინო კანდიდატი.

— დაბეჭდა და გამოვიდა დათა ჯავრაშვილის „საშევარდნო მწყობრის სახელმძღვანელო“ მეორე გამოცემით. წიგნი პატარა ფორმატისაა, გამოცემულა კარგ ქალღმ.

**სარედაქციო კოლეგია: სოსო ასლანიშვილი, გიგო გიორგიძე.**

გუნება და ააწო ტფ. II შევარდნის მოვარჯიშებ მმა ნიუთ ციცაგინვილიძე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი, საყოველთაო სამხედრო სწავლის სარედაქციო საგამომცემლო განყოფილება. ფურცლი „შევარდნა“

საქ. უმაღ. სახ. სამ. საბჭ. მე-3-მე სტამბა კალოჟნის ქ. № 5. ტირაჟი № 426—300

